03/01/2020

იმერეთში სახელმწიფო რწმუნებული პატრიარქს შეხვდა

სახელმწიფო რწმუნებული იმერეთში, ბ-ნი ზვიად შალამბერიძე სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს ილია მეორეს შეხვდა და შობა-ახალი წელი და იუბილე მიულოცა. შეხვედრაზე სახელმწიფო რწმუნებული მის უწმინდესობას იმერეთში მიმდინარე და დაგეგმილ ინფრასტრუქტურულ პროექტებზე ესაუბრა, საუბარი შეეხო ასევე სახელმწიფოს მიერ გლეხებისთვის მიწათსარგებლობის გამარტივების საკითხს და ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის მშენებლობის პროცესს.

კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II-მ დალოცა სტუმარი და წარმატებული მოღვაწეობა უსურვა.

— patriarchate.ge